



სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის
ბინარალური დირექტორის

ბრძანება № 177

ქ. თბილისი

21 დეკემბერი 2017წ.

სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და იტალიის კვლევების ეროვნული საბჭოს (CNR) ერთობლივი სამეცნიერო საგრანტო კონკურსის შედეგად გამარჯვებული პროექტების დამტკიცების შესახებ

„სსიპ – შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და იტალიის კვლევების ეროვნული საბჭოს (CNR) ერთობლივი სამეცნიერო საგრანტო კონკურსის დებულებისა და საგრანტო კონკურსის შეფასების კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 10 აგვისტოს № 133/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის № 62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ და „ჟ“ ქვეპუნქტების საფუძველზე და საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის საერთაშორისო ურთიერთობებისა და ფონდების მოზიდვის სამსახურის მთავარი სპეციალისტის ირაკლი გრძელიშვილი სამსახურებრივი ბარათის (№ 1556097, 19.12.2017) შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და იტალიის კვლევების ეროვნული საბჭოს (CNR) ერთობლივი სამეცნიერო საგრანტო კონკურსის შედეგად გამარჯვებული პროექტები ამ ბრძანების დანართის შესაბამისად;
2. დაევალოს სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის (შემდგომში: ფონდი) იურიდიული და ადმინისტრაციული უზრუნველყოფის დეპარტამენტს გამარჯვებული პროექტების წარმდგენებთან საგრანტო ხელშეკრულების გაფორმება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად არაუგვიანეს 2017 წლის 31 დეკემბრისა;
3. დაევალოს ფონდის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს ამ ბრძანების განთავსება ფონდის ვებგვერდზე;
4. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე;
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6)

მანანა მიქაბერიძე

სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და იტალიის კვლევების ეროვნული საბჭოს (CNR) 2017 წლის ერთობლივი სამეცნიერო საგრანტო კონკურსის გამარჯვებული პროექტები

№	პროექტის სათაური	ორგანიზაცია
1.	„ქირალური ციკლური სულფოქსიდების სინთეზი, მათი ენანომერების დაყოფა მაღალეფექტური სითხური ქრომატოგრაფიის მეთოდით და ქირალური გამოცნობის მოლეკულური მექანიზმების კვლევა“	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ფიზიკური და ანალიზური ქიმიის მიმართულება/კათედრა
2.	„გრაფენის ქიმიური თვისებების მანიპულირება: სიმკვრივის ფუნქციონალის მეთოდი“	ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
3.	„ეფექტური კრიოპრეზერვაციის მეთოდების შემუშავება (კონსერვაცია თხევად აზოტში -196 C) და კრიობანკის შექმნა საქართველოს გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი მცენარეთა გენეტიკური რესურსების გრძელვადიანი კონსერვაციისთვის“	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
4.	„მაღალეფექტური ფოტო(კო)რემედიაციული ტექნოლოგიის შემუშავება, როგორც სწრაფი სტრატეგია წყლის ქიმიური დაბინძურების წინააღმდეგ“	საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის დურმიშიძის ბიოქიმიისა და ბიოტექნოლოგიის ინსტიტუტი, ბიოლოგიური ჟანგვის ლაბორატორია